სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12750721156213

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130023532

რეგისტრაციის თარიღი

14.01.2013 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მინდობილობა

საქართველო

ორიათასცამეტი წლის თოთხმეტ იანვარს, მე, ნოტარიუსს ირმა გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა №14, მომმართა გია ხორგუაშვილმა, რომელმაც მთხოვა გავყოლოდი მისამართზე – ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №6, მინდობილობის დასადასტურებლად. რადგან მარწმუნებელი დავით კილაძე ვერ ახერხებდა ჩემს სანოტარო ბიუროში მოსვლას. მე გავედი აღნიშნულ მისამართზე.

მარწმუნებელმა დავით კილაძემ განაცხადა, რომ, არის სს ,,ჯი პი სი''-ს დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის ნომერი: 563421. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 12137771. ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/12/2012. საიდენტიფიკაციო კოდი: 201991229) და სურს გია ხორგუაშვილის მიმართ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე დავით კილაძის (დაბ: 07.12.1967 წელს. თბილისში. პ/მ №11 IB 39292 პირადი№01017011314 გაცემული: იუსტიციის სამინისტროს მიერ, 17.02.2012 წელს. მცხ: ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის №12) პირადობა. მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე მინდობილობის პროექტი. მე, ნოტარიუსმა ირმა გოგიამ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე დავით კილაძეს და განვუმარტე მისი შინაარსი. დავით კილაძემ დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მე, დავით კილაძემ (დაბ: 07.12.1967 წელს. თბილისში. პ/მ №11 IB 39292 პირადი№01017011314 გაცემული: იუსტიციის სამინისტროს მიერ, 17.02.2012 წელს. მცხ: ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის №12), გია ხორგუაშვილს (დაბ: 22.09.1966 წელს. ქარელში. პ/მ IIIA 30140 პირადი №01021017518 გაცემული: იუსტიციის სამინისტროს მიერ, 21.09.2011 წელს. მცხ: ქ. თბილისი, თემქა III მ/რ, I კვ. კორპუსი 19, ბინა №36) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. გია ხორგუაშვილი უფლებამოსილია იყოს სს ,,ჯი პი სი''-ს წარმომადგენელი საჯარო და კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოში, მათ შორის: საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულის სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, გამგეობაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრში, არქივში, საგადასახადოში და ა.შ. გია ხორგუაშვილი ასევე უფლებამოსილია გააფორმოს ან/და გააუქმოს იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებები, შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება/დამატება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში. თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ქირავნობისა და იჯარის ფასი, ვადა, თანხა და სხვა პირობები. ასევე მოახდინოს ყველა გარიგების გაანგარიშება. დაარეგისტრიროს ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

2. ამ დავალების შესასრულებლად გია ხორგუაშვილი უფლებამოსილია აიღოს/ჩააბაროს ნებისმიერი საბუთი, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

3. ეს მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით, შემდგომში გადანდობის უფლების გარეშე.

4. მინდობილობა გაცემულია 5 (ხუთი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

5. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის ნომერი: 563421. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 12137771. ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/12/2012. საიდენტიფიკაციო კოდი: 201991229)

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 25.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე და 34-ე მუხლებისა, აგრეთვე 2 ლარი (დღგ ჩათვლით), თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლის I პუნქტისა.
სულ გადახდილია: 27.00 ლარი.

მარწმუნებელი: .....

ნოტარიუსი ირმა გოგია .....